# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 439

24 სექტემბერი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი №19-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.002.041) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი №19-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.002.041) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 8 სექტემბრის №21.1221.1389 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი №19-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.25.002.041) მდებარე უძრავი ქონების, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

პროექტი

დანართი N1

| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული, დაკავებული ბინი ნომერი | ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ) | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქალაქი თბილისი, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N19 (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.041) | | | |
| 1 | ნანა ჭეხაშვილი | 01013014181 | სართული 1, შენობა N1 | 121.44 | 01.19.25.002.041.01.500 |
| 2 | კახაბერ აბჟანდაძე | 18001004411 | სართული 1 | 75.75 | 01.19.25.002.041.01.503 |
| 3 | გიორგი თამლიანი | 36201054223 | სართული 1 | 105.13 | 01.19.25.002.041.01.501 |
| 4 | მამუკა ჯავახიშვილი | 36001009219 | სართული 1 | 66.27 | 01.19.25.002.041.01.505 |
| 5 | ვერიკო მჭედლიშვილი | 40001033933 | სართული 1 | 97.28 | 01.19.25.002.041.01.502 |